საქართველოში ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების გავლენა დასაქმებულთა კმაყოფილების ინდექსზე

ნონა მაკარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (მენეჯმენტში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა:

ბიზნესის ადმინისტრირება-მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ჩილაჩავა, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან/და გამოსაქვეყნებელ მასალებს, ხოლო სხვა ავტორების მიერ შექმნილი მასალები არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნონა მაკარაშვილი

24.06.2024

აბსტრაქტი

კვლევა განიხილავს საქართველოში არსებული ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების პოლიტიკის გავლენას დასაქმებული დედების კმაყოფილების დონეზე. რაოდენობრივი კვლევის გამოყენებით მონაცემები შეგროვდა 200 რესპონდენტისგან (საჯარო და კერძო სექტორში). კითხვარი შემუშავებულია დასაქმებულების კმაყოფილების სხვადასხვა ასპექტების გასაზომად (სამუშაო და პირადი ცხოვრების ბალანსი, მხარდაჭერის მიღება დამსაქმებლის მხრიდან, ინკლუზიური და თანასწორი სამუშაო გარემო) და ორიენტირებულია იმ დასაქმებულებზე, რომლებსაც უსარგებლიათ (სარგებლობენ) ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით.

ამასთან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული ქალების რაოდენობის შესახებ და გაანალიზებულია დასაქმებული ქალების რაოდენობასა და დეკრეტული შვებულების პოლიტიკას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. კვლევა მიუთითებს საჯარო სექტორში არსებული დეკრეტული შვებულების პოლიტიკის მეტად ხელსაყრელ პირობებზე, კერძო სექტორთან შედარებით, რაც წარმოშობს საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო პირობების უთანასწორობას. ემხრობა პოლიტიკის გაუმჯობესებასა და მის სტანდარტიზაციას სექტორების მიხედვით.

საჯარო და კერძო სექტორებს შორის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეფექტურად განხორციელებული დეკრეტული შვებულების პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს შვებულების გონივრულ ხანგრძლივობასა და ადეკვატურ ანაზღაურებას, დადებითად აისახება სამუშაო ძალაში ქალთა ჩართულობის და ორგანიზაციიდან თანამშრომელთა გადინების მაჩვენებელზე, ხელს უწყობს დასაქმებულის კმაყოფილების მაჩვენებლის ზრდას, ქვეყნის დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესებას, სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსის გაუმჯობესებას, აძლიერებს შრომის სოციალურ კეთილდღეობას საქართველოში და უზრუნველყოფს დამსაქმებლის ორგანიზაციული და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

საძიებო სიტყვები: ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, კერძო სექტორი, საჯარო სექტორი, სამუშაო და პირადი ცხოვრების ბალანსი, სამშობიარო შეღავათი.

Abstract

The study examines the impact of the paid maternity leave policy in Georgia on the satisfaction level of employed mothers. Using quantitative research, data was collected from 200 respondents representing both the public and private sectors. The questionnaire was designed to measure various aspects of employee satisfaction, including work-life balance, employer support, and the inclusivity of the work environment. The study focused on employees who are either currently on maternity leave or have taken it in the past

Additionally, information about the number of employed women in the public and private sectors was obtained from the National Statistical Office of Georgia, and a cause-and-effect relationship between the number of employed women and the maternity leave policy was analyzed. The research highlights the more favorable conditions of the maternity leave policy in the public sector compared to the private sector, leading to inequality in working conditions within Georgia's labor market. The study advocates for policy improvement and standardization across sectors.

Based on a comparative analysis between the public and private sectors, it can be concluded that an effectively implemented maternity leave policy, featuring a reasonable length of leave and adequate remuneration, positively impacts the rate of women's involvement in the workforce and reduces employee turnover rates. This contributes to increased employee satisfaction, improves the country's demographic background, enhances the balance between work and personal life, strengthens the social welfare of labor in Georgia, and ensures the maintenance of organizational and economic stability for employers.

Keywords: Paid maternity leave, Private sector, Public sector, Work-life balance, Maternity benefits.

მადლობა

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, თამარ ჩილაჩავას, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში ფასდაუდებელი ხელმძღვანელობისა და გონივრული რჩევებისთვის. მისმა გამოცდილებამ და წახალისებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კვლევის ჩამოყალიბებაში.

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ღირებული ლექციებისა და სემინარებისთვის.

ასევე, გულწრფელი მადლიერება კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს. თავიანთი შეხედულებებისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. რესპონდენტების მონაწილეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კვლევის შედეგებში.